

შინაური საქმეები

№ 7.

კვირა, თებერვალი 14, 1910 წ.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ათეიზმი, მისი წარმოშობა, და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე—ფფ. სართანიძისა; (ლექსი)—რ. საჯსიფაძისა; ებრაელების ახრი სახა-

ზარებაზე—ხელისა; სიტყვა თქმული მედიტონ ზოგუადის გასვენებაზე—მღ. ი. ფანცხვასის; ამ დროის უძღვებ შეილებს—დ. გიორგიშვილისა; მოწერილიამებები...

ყოველკვირეული გაზეთი

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკაფის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ათეიზმი, მისა წარმოშობა, და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე*).

ჩვენი დრო ახალ კოლარულ ხანის დასაწყისია. გამეფებულია მისწრაფება პოლიტიკისადმი. არა ერთი და ორი პოლიტიკური კითხვები წინ გვიძევს გასარჩევად. ყველგან და ყოველთვის პოლიტიკას, როგორც კაცობრიობის სხვა სულიერ მოვლენასაც, ახლო, დამოკიდებულება აქვს სარწმუნოებასთან. —სწორეთ საკვირველია, —ამბობს კომუნისტი პრუდონი, —როგორც კი შევეტოპავთ პოლიტიკაში, მაშინვე ღვთისმეტყველებას წავაწყდებით.*¹⁾ ეს ასეც უნდა იყოს. სარწმუნოება ხომ, ეს კავშირი ღვთასა და ადამიანის შორის, არის ამასთანავე საძირკველი კაცობრიულ კავშირთა და სიმედო დამკველი ქეშმარიტ უფლებისა და საუკუნო ნორმათა, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკა, ეს — მმართველი საზოგადო ცხოვრებისა და დამოკიდებულებათა. ამასთან კაცობრიობის ისტორიული განვითარების მიმდინარეობაში ცხადად მეფობს ღვთის განგება, რომლისგანაც ყველაზე უწინ დამოკიდებულია ხალხთა პოლიტიკური კეთილ-ღღობა. ამისთვის პოლიტიკას არასოდეს არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს სარწმუნოება, ისე რომ ხალხის ცხოვრებას არ ავნოს. კულტურულ განვითარების წარმატება შესაძლებელია განმტკიცდეს არა გარეგნული ძალ-

დაიბეჭდა

საბლალაჩინო ვედომოსტის

ბლანკები.

მსურველთ შეუძლიანთ მოიკითხონ

„ქმოვის“ სტამბაში

ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩა კირიშჩევის სახლი.

*¹⁾ Жур. „Странникъ“ за 1907 г. январь.



ლონით, არამედ მხოლოდ სარწმუნოების ძალით, როგორც ანათებს ხალხის ყველა კარგ და მალალ მისწავლებებს. მართალი სიტყვა გიოტემ: „მხოლოდ ისტორიის უღრმეს და უმთავრეს თემის ურწმუნოების რწმენასთან ბრძოლა შეადგენს“¹⁾ სამწუხარო მოვლენათა შორის, რომელნიც თან ახლავენ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების წინსვლას, ყველაზე უფრო საშიშრად ამ წინსვლისთვის ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ ჩვენი ეგრედ წოდებულ „განმათავისუფლებელ მოძრაობის“ და სარწმუნოების შორის გაჩნდა განყოფა. „მომავალი სახელმწიფო იოლად წავა უსარწმუნოებოდ“, — აი ეხლანდელი პროგრამა ზოგიერთ ადამიანთა ჯგუფისა. ასეთ „პროგრამის“ დამაღონებელი პრაქტიკული შედეგები უკვე გამოსჩნდნენ ჩვენ ცხოვრებაში. მიზეზი ჩვენი დროის მრავალ საზოგადო მისწრაფებათა მარცხისა უნდა ვეძიოთ სწორედ მათ ურწმუნოებაში.

ჩვენ აქ შევეუბნებით ყოველ მხრის და დადებითს გარჩევას იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას კაცობრიობის ცხოვრებაში (ამ გვარინაწარმოებით შესამჩნევად მდიდარია რუსული და უცხო საღვთისმეტყველო ლიტერატურა), მხოლოდ ვეცდებით მივაქციოთ მკითხველის ყურადღება სარწმუნოების ზემოხსენებულ უარყოფაზე, რომ ნათლად დაეანახოთ, თუ როგორ ღუპავს ადამიანთა კერძე და საზოგადო ცხოვრებას მუდამ ბრძოლა სარწმუნოებასთან.

თვითუფლ ადამიანის შეგნება შეიცავს ისეთ იდეებს, რომლებიც, როგორც გვაჩვენებს მათი შინაარსი, არ შეიძლება, რომ ადამიანისგან იყოს შენაქში, არ შეიძლება იყოს შედეგი კაცის გამოცდილებისა და დაკვირვებისა; ასეთია იდეები, მაგ, იდეა სიერცისა, ეამისა, რიცხვისა, მიზეზისა და სხვ. აუცილებელია მივიღოთ, რომ ეს იდეები თანშობილია ადამიანში, მონიჭებული აქვს ღვთისგან.

¹⁾ Лютардъ. Апол. христ. С. П. Б. 1892. стр. 799.

¹⁾ Геттингер. Апол. христ. СПб. 1863. I. стр. 5.

ქვეყნიერობის შემოქმედისაგან. და რადგანაც ბუნება ყველა კაცისა ერთგვარია, ამიტომ ეს თანშობილი იდეებიც საერთოა ყველა ადამიანისათვის. ამ გვარ იდეათა რიცხვს ეკუთვნის იდეა ღმერთზე, როგორც უმაღლეს და ყოველად სრულ არსებაზე, რომელთანაც კაცს აქვს კოცხალი და მქიდრო დამოკიდულება სარწმუნოებაში. ღვთის იდეის ზოგადობა, რომელიც მტკიცდება მრავალ მეცნიერულ გამოკვლევებით¹⁾ მშვენიერად გამოჰხატა შემდეგ სიტყვებში ძველმა კლასიკურმა მწერალმა ციცერონმა: „ღედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ველური და და მქისე ხალხი, რომელსაც არ შეეგნოს, რომ მას უნდა ჰყავდეს ღმერთი“. ეს აზრი მტკიცდება მათელ საუკუნეთა გამოცდილებით. ციცერონის შემდგომ აღმოაჩინეს ნახევარი ღედამიწისა და ყველგან ნახეს კვალი სარწმუნოებისა. მაშასადამე ღვთის იდეა ისეთი რამ არ არის, რომელიც შეგვეძლოს ჩვენს ნებაზე მივიღოთ ან უარყოთ. ის შეადგენს უპირველეს და აღმოუფხვრელ კუთვნილებას კაცისას და არის საძირკველი ჩვენი ზნეობრივი ცხოვრებისა და ქეშმარიტ მოქმედებისა.

მაგრამ ყოფილან ყოველთვის ისეთი ადამიანები, რომელნიც უარყოფდნენ ღვთის არსებობას და მასთან, რასაკვირველია, სარწმუნოებასაც. ამ უარყოფას ჰქვიან ათეიზმი (ბერძნული სიტყვიდან *θεος* — უმღვთო).

შეუძლებელია იმის გაგება, როდის და პირველად ვინ აღიარა ათეიზმი, როგორც ერთგვარი სწავლა, მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ ათეისტური მხედველობა იყო ჯერ კიდევ უძველეს დროში. ქრისტეს დაბადებამდე ათეიზმი გავრცელებული იყო ბერძენთ და რომაელთ საზოგადოებაში (იქილგან გამოვიდნენ ათეისტები ლუკრეცი და პეტრონი), მათ წინააღმდეგ მრავალი აზრი გამოსტქვეს მაშინდელმა მეცნიერებმა და მორალისტებმა (ციცერონმა, სენეკამ და სხვ.) მალე ქრისტიანობამ თავისი კეთილი დასაწყისით შეაყენა ათეიზმის გავრცელება. მაგრამ ეს

¹⁾ Геттингеръ, op. с 1, стр. 65 и слѣд.

სწავლა ხელმეორედ აღორძინდა ახალ დროში, — საშუალო საუკუნოების სხოლასტიკის გამეფების შემდეგ. ათეისტურ აზრების გამეფებამ დაიწყო განსაკუთრებით საფრანგეთის ენციკლოპედისტთა შრომაში და მათ მიმდევართა შორის. ახალ ათეიზმის უმთავრეს წარმომადგენლებათ შეიძლება ჩავთვალოთ ტოლანდი, გობსი, დელამეტრი, კონდორსე, გოლბახი, ფეიერბახი, მოლესოტი, ბიუნენერი, კ. ფოხტი, გკოლბე, შტირნერი, შვეიცერი, რიშპენი და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ათეიზმი წარმოშობილია ძველის დროიდან, ჰყავს თავისი წარაომადგენელი, რომელნიც ითვლებიან განათლებულ ადამიანებად და თითქმის ფილოსოფოსებათაც (თუმცა ამაში ძნელია დავითანხმოთ), მას აქამდის არა აქვს გარკვეული სისტემა, რაიც აუცილებელი საჭიროებაა ყოველი მოძღვრებისათვის, რომელსაც აქვს თავის ისტორიულ წარსულთან ერთად ზოგიერთი რაციონალური საფუძველიც. ზოგჯერ ათეისტები, რომელნიც უარყოფენ ღვთის არსებობას, თვით ეწინააღმდეგებიან თავიანთ სწავლას თავიანთ პრაქტიკულ ცხოვრებაში და მოქმედებაში. ათეიზმის შინაარსი რომ განვიხილოთ, მისი დედა-აზრი შემდეგია: — „სრულებით არ არსებობს ღმერთი (დიოგორი), და არც შეიძლება იყოს რომელიმე ღმერთი (ფეიერბახი)“, აი ასე ამბობენ ათეისტები. „თვით ბუნებამ წარმოშობა ყოველივე (ბიუნენერი), უგეგმოდ და შემთხვევით (ფოხტი). „მთელი მსოფლიო არის საუკუნო მატერია, ფორმა და მოძრაობა“ (გკოლბე, ბიუნენერი). „საზოგადოთ, „არაფერი“ არ არსებობს (მაშასადამე ღმერთიც), გარდა იმისა, რასაც ვღებულობთ ჩვენი გრძნობათა შემწეობით“ (მოლესოტი). ამისთვის ჩვენი საყვარელი „მე“ს თავყანისცემა არის მხოლოდ გონიერი და პატიოსანი სარწმუნოება“ (მაკსი შტირნერი, ფეიერბახი). ასეთია მოკლედ მოძღვრება ყველა ათეისტებისა, მოძღვრება უცნაური და გაუგებარი არა მარტო მორწმუნე კაცისათვის, არამედ ყოველ საღ მოაზრისათ-

ვისაც, თუ მას აქვს მხედველობაში, რომ რწმენა ღვთისადმი, როგორც უმაღლეს არსებისა, შეადგენს ადამიანის ბუნების ამოუცილებელ თვისებას. რომ ნამდვილათ აფხსნათ ათეიზმის წარმოშობა, რომელიც შესაძენე როლს თამაშობს ჩვენს არეულ დროში, საჭიროა უფრო დაწვრილებით გაესაზღვროთ თვისება ათეიზმისა, როგორც მოვლენისა, და ვნახოთ მისი დამოკიდულება ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან.

თუ საზოგადოდ სარწმუნოება და მისი საძირკველი იდეა ღვთისა, როგორც უმაღლესი და უსახიერესი არსებისა, შეადგენს აუცილებელ ფაქტს ადამიანის შინაგან ცხოვრებისა, ამ შემთხვევაში ათეიზმი, როგორც წინააღმდეგი ადამიანის ბუნებისა, ყოფილა არა წესიერი, ავადმყოფი მოვლენა. ეს უფრო ნათლად სჩანს იქიდან, რომ ვგრედ წოდებული ათეისტები, რომელნიც უარყოფენ ღმერთს სიტყვიერად, სულის სიღრმეში შინაგანი ბუნების მოუცილებელი მოთხოვნით, ურიგდებიან ღვთის იდეას და ვერ უარყოფენ მას პრაქტიკულ ცხოვრებაში. ზოგიერთ ათეისტებს, ისე როგორც მორწმუნეებს, აქვთ გულწრფელი ღტოლვილება სათნოებისადმი, აღიარებენ საჭიროდ შინაგან გაუმჯობესობას და ჰქმნიან კდეც ბედნიერების იდეალებს არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ კეთილმყოფელობისათვისაც. ყოველივე ეს იქმნება შეუძლებელი, რომ ნამდვილად შესაძლო ყოფილიყო ღვთის უარყოფა. და მართლაც, მხოლოდ მას შეუძლიან ისწრაფვიდეს კეთილ საქმისაკენ, ვინც გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ქეშმარიტად არსებობს ღმერთი, პირველი სახე სიკეთისა. ამ გვარად მიილტვიან რა (თავიანთ ადამიანურ ღირსების ძალით) სისრულისადმი, ათეისტები თავისდა შეუგნებლად გულისხმობენ ცოცხალ, მატარებელს აბსოლიტურ სისრულისა — ღმერთს. სხვაფრივ რა მიზანი ექნებოდა მათ გაუმჯობესობის წყურვილს, თუ არა მხოლოდ თამაში განუხორციელებელ ოცნებისა? მხოლოდ ისევ იმ რწმენასთან რომ შესაძლებ-

ლია და ნამდვილადაც არის არსება ჰარმონიული (რომელსაც მორწმუნეები ყოველად ნეტარ ღმერთს უწოდებენ), მხოლოდ ასეთ რწმენასთან შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ლტოლვილება ათეისტებისა ბედნიერებისავე, რომელიც მდგომარეობს ადამიანის თავის თავთან ჰარმონიაში საზოგადოთ, იდეა ღვთისა თვით ათეისტებისათვისაც, რომელიც სიტყვით უარყოფენ ღმერთს, არის შეუმჩნეველი, მაგრამ აუცილებელი საფუძველი სულდერცხოვრების უმაღლეს მოქმედებათა. დაკვირვებანი გვიჩვენებენ, რომ ათეისტები სხვა და სხვა გარემოებაში იჩენენ სარწმუნოებას, თუმცა დამახინჯებულად და სუსტად.

დ. ს. მერეტკოვსკი თავის თხუზულებაში „ეშმაკები“ ამბობს, რომ ყოველად ურწმუნო კირილოვი, რომელმაც თავი მოიკლა, რათა დაემტკიცებინა, რომ არ არსებობს ღმერთი, ყოველ საღამოს სანთელს უნთებდა ხატს ამაზედ ათესტი ვერხოვენსკი შენიშნავს, რომ კირილოვს შესეფისკვრე დედაკაცზე მეტად სწამდა ღმერთით.

მართალია ეს თუ არა, შენიშნავს მერეტკოვსკი, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მხოლოდ ერთი ხაზი, ერთი ბეწვი ჰყოფს ასეთ ურწმუნოებას ძლიერ მორწმუნეობისაგან.

ასე და ამ გვარად ათეიზმი არა თუ საოკრად ეწინააღმდეგება კაცის თანშოპილ ღვთის იდეას, არამედ თვის შორისაც სავეა შინაგანი წინააღმდეგობითა და ანომალით, ასე რომ მის წინააღმდეგ თვით ათეისტების იდეალებში მხედრდება უმაღლესი მხარე მათი კაცობრიული ბუნებისა.

თუ ასეთია თავისი თვისებით ათეიზმი, მაშ მისი წარმოშობის ფესვი ყოფილა ადამიანის სულის არა „ნორმალურ“ მიმართულებაში, ეს ადამიანის სულიერ მოქმედების კრუ მიმართულება კი, რომელიც ხელს უშლის მას აღიაროს ღვთის არსებობა, დამოკიდებულია, თავის მხრივ, ზოგიერთ საყურადღებო პირობებისაგან.

თუ ათეიზმი არ არის კრუ შემეცნება

ღმერთზე, არამედ პირდაპირი უარისყოფა მისი, თუ შეუძლებელია მივიღოთ, რომ არსებობენ ისეთი პირები, რომელნიც სრულყოფით არ განიცდიან მაღალ არსების გავლენას, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ათეიზმი დაკავშირებულია თვით ადამიანის მიმდევობითი მოქმედებასთან. სახელდობრ, თუ შეუძლებელია ავრეთვე დავთანხმდეთ, რომ კაცს შეუძლიან დაჰკარგოს ნიქი ღვთაების მაზე გავლენის მიღებისა და გრძნობებისა, გვჩება მხოლოდ ესტევათ, რომ ათეისტებს უსუსტდებათ ამ ნიქის მოქმედება.—ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია მხატვრული თხუზულება, მით უფრო გახსნილი ესტეტიური გემოვნებაა საქირო მის დამაფასებლად. „პროფანს“ არ შეუძლიან ისე მოექცეს ასეთ ნაწარმოებს როგორც ლირსია.—ისეა ღვთაების ჩვენ სულზე მოქმედების გრძნობაშიაც.

უმაღლესი წყარო ამ გრძნობისა—ღმერთი—არის უმაღლესი ზნეობრივი პიროვნება („ღმერთი სიყვარული არს“), რომელიც ბუნებრივად ყველაზე უწინ გვეცხადება თვის ზნეობრივ დამოკიდებულებაში ადამიანებთან. ღმერთი არა თუ მარტო სავანია ადამიანის ქეუის შემეცნებისა, არამედ მიზანიცაა ჩვენი სულის მისდამი ცოცხალ მისწრაფებისა, ამისთვის ადამიანი იმდენად გრძნობს თვის შორის ღვთაებას, რამდენად ზნეობით სრულია იგი. თუ ასეთი გრძნობა კაცს თითქმის არა აქვს, თუ ის ამ საბუთით პირდაპირ უარყოფს ღმერთს, მაშინ ყოველივე ამის მიზეზია თვით კაცის ზნეობითი დაცემა. პირველი და მთავარი წყარო ათეიზმისა არის ზნეობრივი გათახსირება მის მიმდევართა. ეს სავსებით მტკიცდება ცხოვრების გამოცდილებით. როგორც კი კაცი ეძლევა ცუდ ჩვეულებას, ცუდ ინსტიქტებს, როგორც კი მისი მოსაზრება დაჰქერილია ბილწი სახეებით, ეგოისტური ბუნება წამ და უწუმ გადადის სიამოვნებიდან სიამოვნებაზე,—ღვთის იდეა ასეთ შემთხვევაში ძლიერ შორსაა მის შეგნებასთან. კაცი არ ფიქრობს ღმერთზე მაშინაც, როდესაც ძლიერ ჩაფლულია ცხოვრების წვრილმან მისწრაფებაში, სადაც, როგორც ამბობს პოეტო

• დღეს საუკუნო, საშინელი მტრობა, — ომი წარმავალ ბედნიერებისათვის, იქ სულნი დამწყვედულნი არიან, ჭკუა შებოჭვილია, იქ სოფლურ ცხოვრების ყოველ ნაბიჯის წინ გადასადგმელად კაცი ხანდისხან ყველაფერს სწირავს, რაც კი მისთვის წმიდაა და ძვირფასი. საკვირველია მალე თუ გვიან ზნეობრივი გრძნობა დროებით გაიღვიძებს მასში და მოგაგონებს დაძინებულ სულს ღმერთს — მსაჯულს კაცი ვერ იტანს ამ სინდისის ხმას, ვნებათა შემკავებელს და ცდილობს როგორმე გულიდგან გადიგდოს ეს ზნეობრივი ბორკილი, ცდილობს დაარწმუნოს თავისი თავი, რომ ღმერთი — საძირკველი ზნეობისა არ არსებობს. ასე იცის სირაქლემამაც. ეს უკანასკნელი მტერს რომ დაინახავს თვალებს ჰხუჭავს და იმედოვნებს, რომ მტერი მას ვერ დაინახავს. ამისთვის ათეისტებს სამართლიანად შენიშნა ფილოსოფოსმა ბეკონმა: ¹⁾ „არავინ არ უარყოფს ღმერთს, გარდა იმისა, ვისთვისაც ხელსაყრელია, რომ არ არსებობდეს ღმერთი“. — „სასურველია ჩემთვის, — ამბობს დასავლეთის სხვა მწერალი, — მენახა ისეთი კაცი, რომელიც ყოფილიყო ფიზიკალი, ზომიერი, უმანკო, მართალი და ამასთან უარ ეყოს ღმერთი, არ სწამდეს სულის უკვდავება. ასეთი კაცი მაინც ილაპარაკებდა თავის სარგებლობისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ასეთი კაცი არ მოიპოვება“ ²⁾. ზნეობის დაცემას თან ჰყვება გონების დაბნელება. გონება ცდილობს იპოვოს საძირკველი, რომ სინდისიდან განდევნოს ღვთის არსებობის ქეშმარიტება, რომელიც მყარი საძირკველია მოუშორებელ ზნეობითი კანონის ვალდებულებისა, ამისთვის გონება მიმართავს ფაქტთა, მიზეზთა და შედეგთა დამახინჯებას, ამართლებს დიალექტური ხერხით სულელურ პარადოქსებს, იმალება სოფიზმებში და ნელ-

ნელა ეჩვევა მათ. ურწმუნოების ბუნება კი ისეთია, რომ თუ ერთხელ ჩაინერგება სულში, მერე თან და თან იწყებს გამაგრებას და გაძლიერებას. ისტორიაც მოწმობს, რომ ხალხში ზნეობის დაცემასთან ერთდებოდა ურწმუნობაც. ასეთი დრო იყო, როცა სოფისტობა მეფობდა საბერძნეთში ¹⁾, როდესაც თავისი მოქმედების საზომად ადამიანები სთვლიდნენ თავის საკუთარ ბედნიერებას, რის გამოც საზოგადო ცხოვრება გადაიქცა თავმოყვარეობისა და ვნებათა ასპარეზად. ქრისტეს დაბადების წინ საბერძნეთი და რომი თითქმის მთლად მიეცა ურწმუნოებას, როცა საზოგადოების უზნეობამ უსაშინელეს ზომას მიაღწია ²⁾. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში საფრანგეთში საშინელმა გარყვნილებამ მოამზადა ნიადაგი პირველ რევოლუციის საშინელებათა, რომელმაც წმიდა საკურთხეველზე „გონების კერპი“ დასდვა. კერძოდ, ათეიზმის მკადაგებლად იყენენ ასეთნი, რომელნიც ზნეობრივად ძლიერ დაბლა იდგნენ. ასე მაგალითად, თვით ენციკლოპედისტ დიდროს სიტყვით, ათეისტი დელამეტრი საძაგელი გარყვნილი კაცი იყო ³⁾. ამ გვარად ისტორიული და ბიოგრაფიული ცნობანი მოწმობენ, რომ ზნეობის შემკირება იყო პირველი და უმთავრესი მიზეზი ათეიზმის წარმოშობისა, დანარჩენ მიზეზებს, რომელზედაც კი უთითებენ, აქვთ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა და პირველ მიზეზის გართულებას წარმოადგენენ. ყველაზე უმთავრესი იმათში ცრუ და ცალმხრივი მიმართულება მეცნიერებაში საზოგადოდ.

ღმერთი ეცხადება კაცს არა მარტო საკუთარ უსაშვალო შეგნებში, არამედ გარეშე ბუნებაშიაც, როგორც მისი შემოქმედი და გამგებელი. თითქმის ველურებიც, რომელიც დაბალ კულტურულ განვითარების საფეხურზე

¹⁾ Baconi opera hiipsiae 1694 ae atheismo, p 1164.

²⁾ ha Внигеве savachxevcs. XXI. — Theodisceae sēn eheologiae naturalis elem. cura c. c. uvachs. 45, p. 20.

¹⁾ Исторія философіи, Швейгера, пер. Юренича. 64; 36.

²⁾ Всемирная исторія Шлоссера, II. 140; Курциуса, III, 462.

³⁾ Обзор. фил. учения, М. Остроумова, 80 г. II. 114.

დგანან და ბავშვებიც, შინაგანი ღვთის იღვის სინათლეზე, გარეშე ბუნების შთაბეჭდილებიდან რწმუნდებიან ღვთის არსებობაში, ამისთვის უმთავრესად ველურ ხალხთა სარწმუნოებრივი წარმოდგენათ-ტრიალებენ ხილულ ბუნების გარშემო. როდესაც კაცს, პოეტისა ან იყოს, „ესმოდა წყაროს ტიტინი, ხეების ფოთოლთ ბაასი, გრძობდა ბალახთა ზრდას“, იგი ყოველთვის ჰხედავდა ბუნებაში უმაღლეს ბრძნულ ძალის მოქმედებას, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა მის თანშობილ ღვთის იღვას; ოდესაც ინგლისელი ბელი თავის თხზულებაში განსაკუთრებით ამტკიცებდა, რომ მარტო ერთი ორდნოსი, მაგ., ხელის, შესწავლა საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობს ცოცხალი და ყოველად ბრძენი შემოქმედი ძვეყნისა.⁴⁾

ეფ. სართანძე.

(შემდეგი იქნება).

ბოროტი მეფე!

ანტიპატრის ძე იროდი,
რჯულისა გარდამავალი,
ბილწი არ დასცხრა, უმანკო
სისხლი დაღვარა მრავალი.

იუდელების მეფობა
ხელთ იგდო მლიქვნელობითა,
ხალხს სძულდა, — ამ მძულვარებათ
იმატა წლითი წლობითა.

იროდის გული აევსო
საწამლავეთ და შხამითა,
მეფობის დაკარგვის შიშით
ძილი არ ჰქონდა წამითა.

ეკვიანობდა, მტრათ თვლიდა,
ვინც ყავდა შინ და გერეთა,

⁴⁾ Пр обоэр. 86 г. I; проф. В. Д. Кудрявцева — „теологическое доказат. бытія Божія“.

ყველა დასწყვიტა, ქვეყანა
დააგდო მგლოვიარეთა.

კოლისძმა წყალში დაახრო,
და მოჰკლა სიძე, დის ქმარი,
მოკლა ცოლი და სიდდერი,
მოკლა თავისი სიმამრი.

ბოროტმა, სამი თავისი
ვათიშვილები დახოცა,
ურჯულომ ქრისტეს მოსვლის დროს
მკაცრი ბრძანება გამოსცა!...

და მით თოთხმეტი ათასი
ყრები ქრისტესი მოსრისა,
რომ მათში მოყვეს და შიში
არ ჰქონდეს ქრისტეს მოსვლისა.

სიკვდილის წინეთ შეკრიბა
იუდელები მრავალი,
სატუსალოში შეყარა,
გზა არსით ჰქონდეს სივალთი.

დასა და სიძეს უბრძანა:
„ანდერძათ დამიდევსაო,
ესენი ყველა დახოცეთ
ჩემი სიკვდილის ღღესაო.“

მთელი საშფო შეიძრას,
ყველანი სტიროდესაო,
ამბობდენ: „შხამად გვახსოვდეს
სიკვდილი ეროდესაო.“

რ. საჯავახოელი.



ებრაელის აზრი სახარებაზე.

გაზ. „Россия“ ში შემდეგი სტატიაა დაბეჭდილი საზღვარ გარეთ ცხოვრებიდან.

ეპრაელების დამოკიდებულება იესო ქრისტეს მოძღვრებასა და პიროვნებასთან ცნობილია. ისინი შეუძლებლად სთვლიან ადგილი მისცენ ქრისტეს თავის წინასწარმეტყველთა შორის და სახარებას მწვალებელ წიგნათ სთვლიან. ქრისტიანობას კი ახლო დამოკიდებულება აქვს ებრაელთა სარწმუნოებასთან.

ამის მიხედვით ფრიად საინტერესოა მსწავლული ებრაელის მონტეფიორეს ცდა იესო ქრისტეს ებრაელ წინასწარმეტყველთა და სარწმუნოების მსწავლულთა შორის ჩარევის შესახებ, რომ ამით, ასე ვსთქვათ, დაუკავშიროს ებრაელობა ქრისტიანობას. მონტეფიორეს შრომას, რომელიც ლონდონში გამოიცა, გაზ. „Times“-ი ქლიერ შესანიშნავ წიგნად სთვლის არა თუ მხოლოდ ებრაელთა თანამორწმუნეთათვის, არამედ ქრისტიან მკითხველთათვისაც, რომელნიც თვალყურს აქცევენ თანამედროვე სარწმუნოებრივ (რელიგიურ) აზროვნების განვითარებას. ამას გარდა, ამბობს „Times“ ი, იგი წარმოადგენს ამ დროის გასაოცარ სასწაულს. მსწავლული ებრაელი, თავდადებული ერთგული ისრაილის სჯულისა, ახლად თარგმნის თავის თანამორწმუნეთათვის ოთხ თავ სახარებას, ჰმარტავს მათ ორ დიდ ტომ თხუზულეებაში და დაჟინებით ამტკიცებს, თუ რა დიდად საჭიროა ებრაელთათვის ი. ქრისტეს ცხოვრების შესწავლა. იგი უშიშრად აცხადებს, რომ „თუ იუდაიზმი (ებრაელთა სარწმუნოებრივ ზნეობრივი მსოფლმხედველობა) არ შეუთანხმდება სახარებას, იგი მუდამ განკერძოებულ, განაპირებულ მოძღვრებად დარჩება, ქუჩახანდში (Тупикъ) შეწყვედული, უმნიშვნელო გავლენით და გავრცელების უნარს მოკლებული. მართლ-მორწმუნე ებრაელი ამას განაცხადებენ, რომ მათ მეტი არც ირაფერი უნდათ, მაგრამ ლიბერალი ებრაელები ასე ადვილად არ დაკმაყოფილებიან ამით“.

* მოძღვრება იესოსი, ამბობს მონტეფიორე,

რე, არასოდეს არ ყოფილა ებრაელ მსწავლულთ მსჯელობის საგნად საერთოდ, ხოლო თუ როდესმე ყოფილა. უთუოდ მისთვის, რომ ფასი დაეკარგათ მისთვის. ებრაელი მწერლები ან მსგავს ადგილებს ჰკრებდნენ ძველ აღთქმაში, ან ნაკლულევანებას. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველაფერს, რაც იუდაიზმმა და ებრაელებმა დაითმინეს ქრისტიანეთა შორის, მათი ასეთი დამოკიდებულება სახარებასთან გასაკვირვალი არ არის. სწავლა ი. ქრისტეს ღვთაებრიობაზე ებრაელთათვის ყოველთვის იყო ქვად ფერხთა წარსაცემლად. მაგრამ ეხლა ინგლისში დადგა დრო, როცა ებრაელს შეუძლია უფრო მიუდგომლად და ისტორიულად დაუწყოს ყურება სახარებას. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზანი. მე არა მსურს დავამცირო ჩაბინების და მათი მოძღვრების მნიშვნელობა, მაგრამ არც მათი გაზვიადების მიდრეკილება მაქვს. ყველაზე უფრო მე ვაფასებ ფაქტებს და ნებას ვაძლევ მათ ილაპარაკონ თავის თავზე. ამის გულისთვის ებრაელ კრიტიკოსებს მე მომეტებულ ქრისტიანად ვერვინები, ხოლო ქრისტიანე კრიტიკოსებს—მომეტებულ ებრაელად“.

მონტეფიორე ჯერ თარგმნის სახარებას და მერე მოყავს იგი ნაწილ ნაწილად განსამარტებლად. განმარტებაში ის არ ეთანხმება ქრისტიანე მსწავლულთა ზოგიერთ მხედველობას. მაგალ. „ნეტარ იყვნენ მოწყალენი“ ს განმარტებაში ლიუიზი ამბობს: „იგინი ეწინააღმდეგებიან ებრაულ შეხედულებას, რომელიც ყოველ უბედურებაში ხედავს სასჯელს პირად ცოდვათათვის; ებრაელები არ არიან განწყობილნი შებრალების გრძობისადმი“. ეს ძალიან უცნაური შენიშვნაა, პასუხობს მონტეფიორე. მოძღვრება, რომელზედაც უჩვენებს ლიუიზი, საპატრიო როლს თამაშობს ებრაელ ეთიკაში (ზნეობრივ სწავლაში) და რელიგიაში. ახალ აღთქმაში არ არის ადგილი უფრო თვალსაჩინო, და კიდევაც უფრო საზოგადო ებრაელთათვის, ვიდრე ეს (ადგილი)“.

საზოგადოდ მონტეფიორე ჰპოვებს ქრისტეს მოძღვრებას უფრო ახლად და გენიოსობით გამსჭვალულად, ვიდრე რაბინების მოძღვრებას თალმუდში და მიღრაშში ჩაწერილს. მას უფრო მეტი აღმაფრენა ეტყობა. ამბობს იგი. იგი უღიადესია. მასში მეტია წინასწარშეტყველური. იგი ავტორიტეტობას ჩემობს, როგორც ამას ჩემობდენ წინასწარშეტყველები, რადგან დარწმუნებული იყვნენ რომ მათი სიტყვა ღვთისაგან გამოდიოდა. ასეთივე აღმაფრენის ცნობიერება უნდა ჰქონებოდა იესოსაც*.

ებრაელთათვის ეს დიდი გაბედულებაა, შენიშნავს ვაზ. „Times“-ი და ძალიან დიდი გაბედულებაა, იტყოდა ებრაელი კრიტიკოსი. მაგრამ მონტეფიორე გულით ცდილობს წარმოგვიდგინოს ქრისტე იუდაიზმის მშვენიერ ყვაილად. მისი აზრით ქრისტეს არ ჰქონდა განძრახვა, დაეარსებია ახალი რელიგია. „იგი ებრაელი იყო და ფიქრობდა ებრაელად დარჩენას. საკითხი სინაგოგისაგან განყოფისა მას არასოდეს არ მოსვლია თავში. მას უნდოდა გაეწმიდა, გამოეცოცხლებია, გაესწორებია და არა გაეწვიეტა კავშირი და ხელ ახლა დაეწყო. მისი სასუფეველი ღვთისა იყო გადახალისებული იუდაიზმი“. ლიბერალურ იუდაიზმს და უნიტარიალურ ¹⁾ ქრისტიანობას, მსწავლელი ებრაელის აზრით, ბევრი საერთო აქვთ. „ასეთი ქრისტიანობა და ასეთი იუდაიზმი, ამბობს იგი. განირჩევიან მხოლოდ სახელით და მოგონებით და არა არსებით ან დოქმით. ასეთ იუდაიზმს და ასეთ ქრისტიანობას შეუძლიათ უწოდონ ქრისტეს თავისად. ლიბერალური გერმანელი ღვთისმეტყველები, საქმით უნიტარიანები, თუმც ასეთად არ სთვლიან თავის თავს, ზიზღით იხსენებენ რაბინიზმს და იუდაიზმს. ტყულად, ამბობს მონტეფიორე: თუ მათი შეგნება ქრისტიანობისა გაიმარჯვებს, ეს იქმნება დიდი გამარჯვება იუდაიზმისა. სახელები არაფერს ნიშნავს: სუყველადიერი ღვთის ერთპიროვნების სწავლაშია.

ხელი

¹⁾ უნიტარიანები ეწოდება იმ ქრისტიანებს რომლებსაც სწამთ ერთი ღმერთი და უარსკოფენ სამებას.

სიტყვა

თამული 7 თებერვალს 1910 წ. 8. ჩო. გოვაძის განხილვაზე.

მელიტონ იესეს ძის ჩოგოვაძის გასვენების პროცესიამ როცა მიაწია ორპირის ქუჩის დასასრულზე, იქ ცხედარს შემოხვდენ ბანოჯლები და წყალტუბოს საზოგადოების წარმომადგენლები თავ-თავიანთ მღვდლებით. აქ ჯერ სიტყვა წარმოსთქვა ბანოჯის მღვდელმა ი. ცქიტიშვილმა, რომელმაც აატირა მთელი დამსწრე საზოგადოება, ამის შემდეგ კი სიტყვა სთქვა ჩუნეშის ბლად. მღვ. ი. ფანცხავამ. აი ეს სიტყვა.

გულ-დაჩაგრული და სულ-შეწუხებული ვეგებები, ძვირფასო ამხანაგო, შენს უსიტყვო ნეშტს, რომელსაც ამოდენა აუარებელი შენი პატივისმცემელი საზოგადოება გარს ახვევია. ვეგებები და პირში სიტყვა მიწყდება, ასე უსიტყვოთ და უძრავათ რომ გზედავ, უსულოდ მდებარეს. ქეშმარიტად ყველასათვის გასაოცარია და სამწუხარო შენი დაკარგვა, მაგრამ ჩემთვის უმეტესად! ჩვენ შორის ბავშობიდანვე არსებობდა ახლო ნაცნობობა, როგორც მეზობელ სოფლების მცხოვრებლების, ხოლო შემდეგ სასწავლებელმა უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს და განამტკიცა ჩვენ შორის ამხანაგური განწყობილება. შემკვიდრეობით თანდაყოლილმა გაკირვებამ ერთმანეთს გადააფსკვნა ჩვენი გული. მთელი თორმეტი წლის განმავლობაში ერთად სწავლის დროს ბევრი ქირი გადაგვხვდია თავს და ბევრი მწუხარე დღე გამოგვცოცხლა ერთად. ამის მიზეზით შემდეგაც, როცა გარემოებამ დაგვაშორა ერთი მეორეს ცხოვრებაში და დაწინაურდი, შენ მაინც არ უკადრისობდი ჩემს ამხანაგობას და მუდამ მზრუნველობით კითხულობდი ჩემს ამბავს. ამით მეც გამხრევებული, შენ შივეძებდი საუკეთესო მოგობარს და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირვებლია, რომ შენი ასე უღრმოვოდ ამ

სოფლიდან გასვლა ჩემთვისაც ისე სამწუხარო იყოს, როგორც საყვარელი შენი დედისა და ძმებისათვის. ამისთვის წინ და წინ ბოდის ვიხდი პატივცემული საზოგადოების წინაშე, ხოლო შენგან ნევას ვითხოვე, უკანასკნელი მოვალეობა მოვიხადო შენ ცსედრის წინაშე და ორიოდვე გულწრფელი ძმური სიტყვით გამოგესალმო.

პატივცემულო მელიტონ იესეს ძე! თუმცა შენ სიცოცხლეშიდაც არასოდეს არ გიყვარდა შენი თავის გამოჩინება და შენი კეთილი ხასიათისა და მოქმედების გახშიანება, და, როცა შემთხვევით ვინმე შეეხებოდა მათ, მორცხვობის სიწითლე გადავირბენდა სახეზე, რაც ყოველთვის უეჭველი და უტყუარი ნიშანია თავმდაბლობისა და კეთილი სულისა, მაგრამ ამ უკანასკნელ ჟამს მე მაინც უნდა შევეხხო, თუ რით იყავი შენ ჩვენთვის საყვარელი და მიძვირდელი.

დღეს, საზოგადოთ, ჩვენში მიღებულია. რომ ვინც მწერალი არ არის, ის საზოგადო მოღვაწეთ არ ითვლება და ვინც დიდი გვარის შვილი და შეძლებული არ არის, ის პატივისცემასაც მოკლებულია სიცოცხლეშიაც და სიკვდილის ჟამსაც. მაგრამ მე დღეს სულ სხვას ვხედავ, შენ არც გამოჩინებული მწერალი ყოფილხარ, შენი არც გვარი ყოფილა დიდებული და გამოჩენილი და არც ქონება. უბრალო გლახის შვილმა, სისაწყლესილარიბეში გამოზლილმა პატივცემული დედაშენის მხნეობითა და გარჯილობით, შენ მოიხვეჭე ყველასაგან პატივისცემა და დაისადგურე მათ გულში. და აი, შენ დღეს გამოჩინებული ხარ უმეტეს იმ დიდებულთა და შეძლებულთა. რისთვის და რატომ? განა მარტო სწავლით! არა. სწავლული სხვაც ბევრი გვინახავს უბრალო წრიდან, მაგრამ შენ შენი ნიჭით, შენი მხნეობით, შრომის სიყვარულით, სითავდაბლით, ნამდვილ ადამიანობით, ყველაფერში გულწრფელობით და ყველასადმი სიყვარულით და მზრუნველობით მიძვირდელი იყავი ყველასათვის. შევირდობაშიდაც ამისთვის გაფასებდენ და მასწავლებ-

ლობაშიდაც, და ვინ არ დააფასებდა შენ ჯაფას და ნიქს, როცა ხედავდენ, თუ რა უკიდურეს პირობებში გიხდებოდა სწავლა და მეცადინობა. სხვა შენ ადგილზე ახლოსაც არ გაეკარებოდა სასწავლებელს, იმდენი ხელის შემწეული გარემოება გელობებოდა წინ! სხვა რომელი მოწაფე გაუძლებდა ბანოჯიდან სასულიერო სასწავლებელში მთელი შვიდი წლის განმავლობაში ყოველ დღე ფეხით სიარულს და ისიც, მომიტევე კანდიციებისათვის, ნახევრად მშიერ მწყურვალე და ფეხშიშველა! მაგრამ შენმა ნიქმა და მხნეობამ ყველაფერს სძლია და ერთხელაც არავის ახსოვს, რომ შენ სწავლაში ჩამორჩენილიყო. პირიქით, ყოველთვის ყველა შენ ამხანაგებზე წარჩინებული ყოფილხარ საშვალო სასწავლებლის დასრულებამდე. ამ გვარისავე მუყაითობით შეუდგე შენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელშიდაც, თუმცა გარემოება არც ამისთვის გიწყობდა ხელს. შენი ოჯახი დიდი ხანია თხოულობდა შენგან პატრონობას, მაგრამ შენ მაინც არ უღალატე ერთხელ ამოჩემებულ მიზანს. დღეს შენგან დატანჯული დედაშენი სასოებითა და იმედით შეყურებდა მომავალ შენს ბედნიერებას, როცა გხედავდა ასეთ მუყაით შვილს, და სიხარულით ცას ეწვოდა, როცა შენ იმედი გაუმართლევ და შრომა და ჯაფა არ დაუკარგე.

მაგრამ განა მარტო შევირდობაში იყავი შენ ასეთი ბეჯითი და ნიჭიერი? სამსახურშიაც უმეტესად შრომობდი და ამისთვის მთავრობისაგან დაწინაურებული იყავი, ტოლამხანაგებისაგან დაფასებული, ხოლო მოწაფეებისაგან პატივცემული და შეყვარებული. მე არ მეგულვება შენგან გულწრფეობა და შენი მომდურავი მოწაფე. დარწმუნებით ვამბობ, რომ ყველა მათგანი კეთილი ხსოვნით მოგიგონებს და შენგან მათ მიერ შეყვარებული საგანი, სამშობლო ენის შესწავლა, მუდამ სამახსოვრო იქნება მათთვის. კარგად გქონდა შეგნებული, თუ რა გვარ უკულმართ პირობებში უხდება დღეს ქართველს სამშობლო ენის შესწავლა, მაგრამ შენ მაინც იმ თავი

დანვე ქართული ენის მასწავლებლობა იკისრე და ღირსეულადაც. დარწმუნებით ვიცი, რომ ბევრს ჩაუნერგე გულში სამშობლო ენის სიყვარული და განუცხოველე მამულისადმი პატივისცემა. ჩვენს ბედში მყოფი ერის ცხოვრებაში ესეც ერთგვარი ვშირობაა, ძვირფასო ამხანაგო!—მაგრამ არა მარტო ქართული ენის სწავლებით შემოიფარგლებოდა შენი ცოდნა და შოღვაწობა. შენ ყოველი საგნის სწავლება ადვილად გვებრუნებოდა, რაზედაც შენი ამხანაგი მასწავლებლებიც დაემოწმებინ და რასაც სრულებით ცხად ჰყოფენ ის მრავალი მოწაფეები, რომელთაც შენ კერძოდ ამზადებდი სხვა და სხვა სასწავლებლებში შესასვლელად.

ამასთანავე დაუფასებელია შენი ღვაწლი და შრომა საეპარქიო საქალებო მასწავლებლისათვის, სადაც შენ მასწავლებლობის გარდა უფროსობდი და გონიერად განაგებდი. შენი მხნე მაცადინებოთ იგი კეთილ გზაზე დააყენე და წარმატება მიანიჭე, რასაც სხვაგან ჯერ კიდევ მოკლებული არიან ამ გვარი მასწავლებლები.

თუ რა მასწავლებელი და ქუთის დამრიგებელი იყავი შენი მოწაფე ახალგაზღვრებისათვის და რა განმანათლებელი ღვაწლი მიგიძღვის მათ წინაშე, ეს ყველამ კარგათ ვიცით. რადგან ამას ცხადად ვხედავდით, მაგრამ რა იყავი შენ შენი სამშობლო სოფლისა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთათვის, ეს ბევრისათვის უცნობია და დაფარული. მაცხოვრის მცნებისამებრ მენ ყოველთვის დაფარულად იქმნოდი ქელის საქმეს, მაგრამ საქმენი შენნი გამხილებდენ და ღაღადებდენ შენზედ. ბევრისაგან გამიგონია და ბევრისაც მე თვითონ ვარ მნახველი, რომ შენ ყველასათვის კეთილის მრჩეველი, შემბრალებ და გულ-შემატყუარარი იყავი და რადგან შენში ხედავდენ უმედიდურო ხელმძღვანელს და თანამგრძობს, ჩენი მხრის ყოველი გაჭირვებული შენთან მორბოდა. შენი სახლის კარები ღია იყო მათთვის, შენი მოსიყვარულე გული თანამგრძობისათვის, ხოლო

ცოდნა და გარჯილობა უსასყიდლოთ დახმარებისათვის მუდამ მზად იყო. დღეს ბავშვმაც იცის ჩვენს მხარეზე შენი სახელი, რადგან ან დედისაგან, ან მამისაგან, ან ძმებისაგან გაუგონია, რომ „მელიტონმა მომიხერხა, მელიტონმა დამიწერა, მელიტონმა მირჩია და სხვ. ამგვარები“. სჩანს, ძმაო, რომ სიყვარული არა სადა დავიარდების!

ყოველივე ამას გარდა შენ კდევ შოგობდი თავისუფალ დროს ოჯახურ საქმეებისათვის და სამაგალითო ერთგულობით და სიყვარულით ალევდი შენს სიციცხლეს დედასა და ძმებზე ზრუნვას. მათი ბედმძურებისათვის შენ უარ-ჰყავი საკუთარი ბედნიერება, საკუთარი ოჯახი; შენ მხოლოდ ცდილობდი მათ კეთილ დღეობაზე. ყოველივე შენი მონაგები მათთვის გინდოდა და შენს თავზე სულ არ ფიქრობდი. დღე და ღამე გაერთიანებული გქონდა. ტკბილი და მოსვენებული ცხოვრება შენთვის ოცნება იყო. შენი ცხოვრების დევიზი იყო: შრომა, შრომა და შრომა. შენ ოჯახისათვის იტანჯებოდი, დედის გულისთვის სიციცხლესაც არ უფროსილდებოდი და დაძმებისათვის თავს არ ზოგავდი.

და აი, ამოდენა ტანჯვა და ჯაფა ველარ აიტანა შენმა ჯანმა და აგებულებამ და დღეს უდროოდ გხედავთ საუკუნო განსასვენებლობასკენ გამგზავრებულს. მშვიდობის მგზავრობა მოგცეს, ძმაო, უფალმა. შენ უდროოდ მიხვალ, მაგრამ კეთილი სახელი და ხსოვნა თან მიგაქვს. ჩვენ აქ გვტოვებ, მაგრამ, შესაძლებელია, ჩვენ ცოცხლებმაც ვერ გავაკეთოთ მძინე რამდენსაც შენი უსულო ნეშტი გვეუბნება დღეს. შესაძლებელია ჩვენთვის შენი უდროოდ სიკვდილიც სანატრელი გახდეს, რადგან შენ მკირე ხანშიდაც პირნათლად მოიხადე შენი მოვალეობა სამშობლო ერის და ქვეყნის წინაშე, ხოლო ჩვენ, შესაძლებელია სანგრძლივ სიციცხლეშიაც ვერ შევძლოთ ეს მხოლოდ სანამ ცოცხლები ვართ, შენი კეთილი ხსოვნა მუდამ აღმოუფხვრელი იქნება ჩვენ გულში და არ დავივიწყებთ შენ ანდერძს, რომლითაც

შენ მკვლარიც კი გვიღალადებ: შრომის ოჯახის სიყვარულს, სამშობლო ენის პატივისცემას და ბედისაგან დაჩაგრულთაღმი თანაგრძობას და გულ-შემატკივრობას.

ახლა კი ნება მიბოძე წყალტუბოს საზოგადოების სახელით მოგიძღვნა ეს მკირვლი გვირაფინი ნიშნად პატივისცემისა.

სულით და გულით მოძღვნილი მკირვლიც შეიწირებაო სთქვა უკვდავმა მგოსანმა და შენც, იმედია, შეგვიწირავ ამას. სამაგიეროდ ეს საზოგადოება არასოდეს არ დაივიწყებს შენს კეთილ საქმეს და შენი ხსოვნა მუდამ ექმნება გულში.

ბლად. მღვ. ი. ფანცხავა.

ამ დროის უძღვრე ვიწრობა.

(უძღვრე შეიქმნა კვირიაკის გამო)

გსმენიაო იგავი სახარებისა უძღვრე ვიწრობა? ერთსა მდიდარსა და წარჩინებულს კაცსა ჰყავდა ორი ძე. უნცროს შვილს მოსწყინდა მამასთან ცხოვრება, მასთან ყოფნა, მასთან ერთობა. მან მოისურვა წაღება სამკვიდრებელიდგან და მოშორება სახლისა მამისა თვისისა. აღბად მამის ხელში ყოფნა, მისი მზრუნველობა, მისი ხათრი და მორიდება მისს თავისუფლებას რამოდენიმეთ ფრთებს აკვეცავდა და მას კი თავის ნებაზე, თავის ჰკუა-გემოვნებაზე სურდა გაეტარებინა ღღენი ცხოვრებისა და ესეთი თავისუფალი ცხოვრების წარმოდგენა სიამოვნების ერუნტელს გვირდა მას ტანში, მრავალ მომხიბლველ სურათებს წუხატავ-მოაჩვენებდა და ყოველიფრით ბედნიერებას უსახავდა. და აი ამ იმედებით, ამ ოცნება-წარმოდგენით აღტაცებული, იგი კადნიერდებდა და ეუბნებდა თავის მამას: „მამაო! მომეც შე, რომელი მხედების ნაწილი სამკვიდრებელისა“ და კიდევაც მიიღო ესე ნაწილი. ყოველივე ადგილ-მამული თვისი მან გაჰყიდა, ფულად აქცია და გემგზავრა შორსა სოფელსა, შორს

ქვეყანას. იგი ტოვებს სამშობლო სახლს, მამას, ძმას, ნაცნობ-ნათესავებს და მიდის დაიმედებული, რომ მის განცხრომით ცხოვრებას ხელს არავინ შეუშლის. იქ იწყო მან ცხოვრება არა-ღიდებით: ქეთსა და ლხინში ატარებდა დროს და მრავალ ნაირ გარყვნილებას სჩადიოდა და მოკლე დროს განაბნია მან ყოველი ქონება თვისი. ამ დროს დადგა იქ შიმშილი, მოაკლდა მას საზრდო და იძულებული შეიქმნა ერთ იქ მცხოვრებთაგანს დადგომოდა ღორის მწყესად. და შვილი წარჩინებულის მამისა ისეთ გაქივრებაში ჩავარდა, რომ გული ეტყოდა მას განძღვრად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა მიწაში ჩუქჩინდნენ ღორები და სქამდნენ და ისიცა არავინ მისცა მას. აი რა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავდო ის უძღვრე ვიწრო თავის მამის გაშორებაში! აი რა შედეგი მოჰყვა მის თავისუფალ ცხოვრებას. ახლაც ხომ ბევრი ბრძანდებით ასეთები, — მსგავსი სახარებისებურ უძღვრე ვიწრობა? რომელთაც დაუტევეთ სახლი მამისა თქვენისა — ზეცთაასა, წიხლი ჰკართ ცას, უარყავთ შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, დაგმეთ საუკუნოებით ნაანდერძევი მტკიცე სარწმუნოება მამა-პაპათა, ჯვარს აცვით ქრისტე, შხამიანი ისრით დაჰკოდეთ გულნი მორწმუნეთა? მერე რატომ? განა იმიტომ, რომ ვერ გრძობდით თავისუფლად თავს ყოველგან მყოფის გულთა მხილავის და ყოვლის შემძღვრელის ღვთის წინაშე? იმიტომ განა, რომ მოსვენებას არ გაძლევდათ ფიქრი იმისი, რომ ის თავს დაგყურებს და ხედავს თქვენ გულისთქმა-მოქმედებათა? ასეთი ღმერთი ხელს გიშლიდათ განა თქვენ მიცემოდით ვნებათა ღელვას, გემოქმედათ ისე, რავარც ჩავძახისთ ხორციელი, გახრწნილი ბუნება თქვენი! ამიტომ დააყუჩეთ სვინდისი, მამხელებელი ღვთის არსებობისა. სრულიათ უარყავთ პიროვნული ღმერთი, აღვირ ახსნილად, უსადაოთ დაიარებით აზრთა და მოქმედებათა სამყაროებში, ნაცვლად იმისა გააღმერთეთ მუცელი, კეკლუც-ქალთა სილიამაზე და პარნოგრაფიულ სურათების ექვერა — შეხედვა და მით სიამოვნება-დატკობა? ნაცვ-

ლად გამათბობელი, მწუხარების გამქარვებლის რწმენა-სასოებისა თქვენ აღგილი დაუთმეთ ცივ მეცნიერებას, რომელიც გარდა მატერიისა, ატომებისა, არაფერს ხედავს და არაფერსა სცნობს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ ბრძენ ბეკონ ვერულამელის სიტყვებს: „მეცნიერება თუ მას შეეცხეთ მხოლოდ ტუჩებით, გვაშორებს ღვთისაგან: მაგრამ თუ შეეცხით იგი დიდრონი ულაპებით, გვაახლოვებს ღმერთთან“? სჩანს ზოგიერთა მეფნიერად მწინდებელნო თავისა თვისისა, კაცობრიობის გულში სარწმუნოება-სასოების მომკვლელ-მომსვრელნო და დიდი ღვთის სახელის უარყოფელნო, თქვენ მხოლოდ ტუჩებით შეხებიხართ მეცნიერებას, მხოლოდ ზერელეთ შეგისწავლიათ იგი, რომ ასე ლაპარაკობთ ღმერთზე და არა დიდებულ ნიუნტოხავით ქუდ მოხდილად ახსენებთ მის წმინდა სახელს? და არც დიდი სწავლული ლინნეისავით იტყვიეთ, რომელმაც მცენარეულობის აგებულობით განკვირვებულმა, ლადადჰყო! „სამარადისომ, უსაზღვრომ, ყოველის მკოდნემ და ყოველის შემძლებელმა ღმერთმა განვლო ჩემს ახლოს! მართალია პირისპირ არ მიხილავს იგი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა შუქმა გამოუთქმელი განკვირვებით აღავსო ჩემი სული. მე აქაც და იქაც შეგნიშნე მისი კვალი მის ქმნილებაში. რანიირი ძალა, სიბრძნე და სისრულეა ყოველ მის მოქმედობაში, სულ მცირე და შეუშინევლებშიც კი! ამ რიგად, სამართლიანია. გვწამდეს რომ არის ღმერთი დიდი, საუკუნო, დამბადებელი, ურომლოდაც არაფერს არ შეუძლია არსებობა, რომელმაც შექმნა ეს დიდი საქმე და დაამყარა მასში წესიერება“, ეტყობა, რომ დიდრონი ულაპებით არ შეგისვამთ თქვენ მეცნიერება და არც დაკვირვებით შეგისწავლიათ განსაკვირვებელი წესიერება ყოველ ქმნილებაში, თორემ ამ მეცნიერებასავით განუმარტებდით კაცობრიობის აზრს უზენაესზე. ან ეგებ წიასწარით წინ თქვენი ცოდნა-გაგებით შესანიშნავ ისტრონომ გერშელს, კარლ ფოხტს, ავტორს „ქვეყნის შექმნის ისტორიისას“ ბეკონს, პასკალს, სპინოზას, ლეიბნიცს და სხვა

მრავალ მნათობებს და ბურჯებს მეცნიერებისას რომელნიც ყველგან ხედვენ ღვთის არსებობას, მისი ძალა-განგებულებას. ნუ თუ სისიამოვნოა თქვენთვის იმ აზრის განმტკიცება რომ „არ არის ღმერთი, არ არის ღმერთი“. ალბათ თქვენ თავი გინდათ გამოიჩინოთ ყოველი მზრის უარისყოფით, გარდა მატერიისა და მისი ძალებისა, მაგრამ თქვენსთანებზე აი რას ლაპარაკობს კარლეილი: „ამ კაცთა (მატერიალისტები) სიციოტლემ მიმართულია ქეშმარიტებისა და სარწმუნოების საგინებლად, მთელი მისი სიმშვენიერე დაუსრულებელი საიდუმლო სიდიადით მათ არასოდეს და ერთი წამითაც კი არ გაუგიათ. ისინი ნაწილ-ნაწილად შლიან მატერიას. ჰქევენ კაცთა მძორების შიგნეულს და რადგანაც ვერ ჰპოვებენ ვერაფერს გარდა იმასა, რის აწონა და ხელით გასინჯვაც შეიძლება, გადასწყვიტეს, რომ არ არის სული, არ არის განგება—არიან მხოლოდ მატერიის თანდაყოლილი ძალები. რა საცოდავი და წვრილმანია მათი თგორია ქვეყნისა, სურათი კაცისა და კაცის ცხოვრებისა“. ნუ თუ დიდ სიკეთეს უშვრებით კაცობრიობას თქვენ, (ვიტყვი იმავე კალეილის სიტყვებით) მატერიის მშლელნო, კაცთა მძორების მქექელნო და უკვდავი სულის არ მკნობელნო, რომ სიტყვით და საქმით ჩასჩიჩინებთ ყველას თქვენს არა ყველა მეცნიერთაგან შეწყნარებულ აზრებს და მით ართმევთ მას მაცოტხლებელ ძალას, ერთად ერთ საიდუმლო ყავარჯენს ცხოვრებაში ღვთის რწმენას? განა რომ თქვენც, მსგავსად უძღებისა მის შვილისა, ამაოდ განგიბნევიესთ ყოველივე იგი, რაიცა მიიღეთ სამკვიდრებელიდგან ზეციერი მამათქვენისა; კჳა-გონება, სიმართლემ, სული და ხორცი, ესე ყოველი არა იმიტომ მოგიბმარებიათ, რომ კაცობრიობას შთაბეროთ გამამხნევებელი ძალა, ზედამატებული სილი, და რწმენა უზენაესისა, არამედ რათა მხოლოდ მხეცად, მხოლოდ ლეშად და მძორად აცნობინოთ მას თავისი თაივი. ნუ თუ ფიქრობთ, ბატონებო, მაგ აზრებით კვება დიდხანს გაგყვებით ან თუ მო-

ლომდის გეყოფათ? ნუ თუ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენთვისაც არ დადგება სიყმილ შიმშილი მატერიალისტურ აზრებით დაუქმ-ყოფილებელი?

—უძღვები იგი შვილი მოეგო თავსა თვისსა და სთქვა: წარვიდე მამისა ჩემისა და ვრქვა მას: მამაო! ვსკოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და აღარა ღირს ვარ მე წოდებად ქედ შენდა, არამედ მყავ მე ერთი მუშაკთაგანი! მან იგრძნო თავისი დანაშაულობა მამასთან, იცნო სარგებლობა მამასთან ყოფნისა, დაგმო თავისი თავი, მოქმედება და გაეშურა მამის სახლში, სადაც მამამ დიდი სიხარულით მიიღო ცთომილი თავისი შვილი.

და მოეგეთ თქვენც თავსა თქვენსა კაცობრიობის გულის გამოძფიტველ—გამომშრობელნო სალხში ურწმუნოების გამავრცელებელ-მთესველნო, ცხოვრების აღელვებულ ზღვაში მის უიმედოთ მიმტოვებელნო, ცის ყრუდ დამსახველნო, აღამიანში მხოლოდ დღემდის მიმჩნევნო, ღვთის წმიდა მცნებათა დამღვრეველნო, — ქვრივ-ობოლთა შემწუხებელნო, ძმის სისხლის მსმელნო, საწყალ ხალხთა ცრემლთ-ტირილის მიზეზო, მამაპაპათაგან სისხლით და ოფლით შეძენილის მამულდელულის გამფლანგველნ გამფანტველნო, ერთი სიტყვით, ყველა სიტყვით და მოქმედებით ღვთის შეურაცხყოფელნო აღსდექით და წარვედით ზეციური მამისა თქვენისათანა და იგი მოწყალებით და სიხარულით მიგიღებსთ თქვენ მისგან გამდგარ არსებათა, მასთან ყოფნა, მისი ცნობა-აღვიარება მოფენს მშვიდობას თქვენს სულსა, განლაღებულ გონებას თქვენსას უკეთესს მიმართულებას მისცემს, ვნებათა ღელვას დაგიწყნარებსთ და აღშფოთებულ გულს დაგიმშვიდებსთ! გახდით თქვენც ერთი იმ მუშაკთაგანი, რომელნიც ირუებიან სასიამოვნოდ შემოქმედის და სასარგებლოდ მოყვისა თვისისა. მოეგეთ, მოეგეთ თავსა თვისსა, შემცდარი გზით მავალნო, დაფიქრდით თუ საით მიექმნებით ან თქვენ ან სხვას საით მიაქანებთ. ნუ თუ არ იცით რა შედეგი მოყვება ხალხში ღვთის

არ რწმენის ქადაგებას? სცანით თქვენი შეცდომა სიცივითდა საქმით და ამიერიდგან შეუდევით მას. ვინც არის „გზა და ქეშმარიტება“, რომელიც არის თქვენგან შეურაცხყოფილი ლოდი, მაგრამ მქნელი თავკიდეთა, ის ლოდი, ურომლოდაც არ შენდება მკვიდრი შენობა, ურომლოთაც მეტათ მძიმეა ცხოვრების ქარიშხლის ატანა. თუ ასე არ მოიქცევით, არ შეუდგებით ქრისტესა, არამედ ისევ თქვენი აზრებ-შეხედულობით იქნებით შეპყრობილ-დატყვევებულნი, მაშინ, გთხოვთ, თქვენთვის დარჩეს თქვენივე აზრები, ისიამოვნეთ და დასტკბით მათი, (თუ კი გსიამოვნებთ), ჩვენ კი გთხოვთ, ნუ გაგვაგონებთ, ნუ ჩავჭიჩინებთ მუდამ ყოველთვის „არ არის ღმერთიო“. ერთი მხოლოდ გაგონებაც იმ სიტყვისა, რომ „არ არის ღმერთი“, ჩვენ (უმრავლესობას ვგულისხმობ) სასოწარავეთილებაში გვაგდებს, სიცოცხლეს გვაძლავს გულს გვღრნის, სულს გვიწუხებს და მთელ არსებას ჩვენსას იმ ძალას აცლის ურომლოდაც აღამიანი აღამიანად არ ითვლება. და გთხოვთ ამ დროის უძღვებნო შვილნო, ნუ გვიშხამავთ სიცოცხლეს, ნუ გვასმევთ საშალას სხვა რამ გვირჩიეთ კარგი და სასარგებლო, თორემ ღვთის უარისყოფით, სარწმუნოების აღმოფხვრით ვერ გაგვაბედნიერებთ და ვერ მოგვიტანთ დიდ სიყვთესა. რქვით თქვენცა გულსა შინა თქვენა „მამაო, ვსკოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და აღარა ღირს ვარ წოდებად ქედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“

რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ.
დ. გიორგისშვილი.

(მოწერილი აზრები).

რაქის მაზრაში, სოფელ ბარში, საზოგადოების ხარჯით 1882 წლიდან არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ დღემდის ამ სასწავლებელში მნახველთ დახვდებოდა თორმეტი,

ხუთმეტი მოწაფე, დღეს კი, როდესაც სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით 1909 წლიდან დაინიშნა მასწავლებლათ ბ. ხარიტონი. საგანელიძე, მოწაფეთა რიცხვი 120ს აღემატება. ამოდენა მოწაფეთათვის, როგორც მოგვხსენებთ ერთ მასწავლებელს არ შეეძლო ესწავლებინა. ამისთვის ბ. საგანელიძემ სამკინოთ სცნო, რომ მოეთხოვა მეორე მასწავლებელი. მაგრამ, ვინაიდან ამ მოთხოვნილების შესრულება, საზოგადოების ხარჯით, ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდა 1905 წლის უბედურების და ზარალის გამო, რომელიც დღესაც უწევს საწყალ გლეხკაცობას, თუმცა ამ საზოგადოების მცხოვრებნი დღეს დიდს სიხარულით ეგებებიან სწავლა განათლებას ბ. საგანელიძის მავალითების შეხედვით და ვერ ნახავთ ისეთ უკანასკნელ გლეხს, რომელიც არ გაიძახოდეს, „ღმერთო, მეც მადირსე, რომ ჩემ შვილსაც სასწავლებელში ევლოსო“. ამიტომ ბ. საგანელიძემ, თანახმად საზოგადოების გლეხთა სურვილისა, აღძრა შუამავლობა წინაშე მთავრობისა შესახებ იმისა, რომ მეორე მასწავლებელი დაენიშნათ ხაზინის ხარჯით. მთავრობამაც შეიწყნარა, აღნიშნული თხოვნა და 1909 წელს 1 ნოემბრიდან დაინიშნა მეორე მასწავლებელი ბ. ვლასი გოცირიძე, რომელიც, როგორც საგანელიძე ეგრეთვე გოცირიძეც დიდს ბეჯითობას იჩენს ბოეშების აღზრდის შესახებ. ამავე სასწავლებელში ასწავლის საღმრთო სჯულს და გალობას ბარის საზოგადოების სოფელ სამთისის მოძღვარი მ. ივლიანე ჩლაიძე, რომლის წყალობითაც დღეს მოწაფეები მშვენიერად მოგიტხოვენ ლოცვებს, საღმრთო სჯულიდან ისტორიის და ჰგალობენ ეკლესიაში, რითაც მსმენელნი აღტაცებაში მოდიან.

აი ბატონებო! აქამომდე დაძინებულმა უკოლამ ზემო აღნიშნულთ პირთ მოღვაწეობით ასე გამოიღვიძა და გააცოცხლდა, რისთვისაც გულითად მადლობას ვსწირავთ ხსენებულ პატიოსან მოღვაწეთ კეთილის შრომისთვის, და კვლად მომავლისთვისაც უსურვებ ამ სასწავლებელს ყოფილიყოს სამავალითო და

ჩვენაც, რაქის მიწა წყლის შეილოთ, ვისაც კი გული შეგეტკივა კაცობრივ კეთილ დღეობისათვის, შეგვძლებოდეს ხელო შეგვეწყოს ხსენებული სასწავლებლის წინმსვლელობისთვის, შეძლების და გვარად შემწეობა აღმოგვეჩინოს, რასაც ხსენებული სასწავლებელი და ეგრეთვე საზოგადოებაც, მიყვანილი უკანასკნელ წერტილამდის სილატაკის გამო ნივთიერად, აუცილებელ ნივთიერ დახმარებას მოითხოვს. ვინც კეთილს ინებებს და ნივთიერ შემწეობას აღმოუჩენს, მათ შეუძლიათ ამა სასწავლებლის გამგეს ბ. საგანელიძის სახელზედ გამოგზავნონ, რომელიც ვალდებული უნდა გახდეს შემომწირველთა ვინაობა და ეგრეთვე რაოდენობა შემომწირულობისა გაზეთის საშვალებით გამოაქვეყნოს,

სოსიკო ბარველი.

ნ თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაიწყო საქმის შესახებ გარჩევა თორმეტ რაქველ გლეხების: ვასილ და გიგო ტყეშელაშვილებისა. სიმონ, სანდრო, მეთოდე, იაგორა, თედორე მალაქია და მათე ბათხაძეებისა და კიმოთე ლომთაძისა, რომელთაც ბრალდებულთ თავადი გრიგოლ ჯიბრაილისძე ყიფიანის მოკვლა ხალხის მღელვარების დროს. გრიგოლი და ერპილე ყიფიანები დიდი მოწინააღმდეგენი იყვნენ ხალხის მოძრაობისა; გრიგოლმა მოჰკლა ერთი ბრალდებულთაგანის სიმონ ლუხუტაშვილის ძმა არსენი; აი ის მიზეზები, რომლისათვისაც უნდა მოკვლათ გრიგოლ ყიფიანი. ზემოაღნიშნულ პირებმა შეიპყრეს გრიგოლი და ერპილე ყიფიანები 9 იანვარს და დამწყვედული ჰყავდათ 11 იანვრამდის. 11 იანვარს საფ. ხვანკარაში ხუთი საზოგადოების ყრილობა მოხდა, რომელშიდაც ხუთიათასამდი ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყრილობის იმზეზი იყო გრიგოლი და ერპილე ყიფიანების

გასამართლება. ერშილე ყიფიანი დედა მისის თხოვნით საზოგადოებამ თავების ქვეშ გაათავისუფლა, ხოლო გრიგოლის შესახებ კი სამნაირი კითხვა იყო დასმული: სიკვდილით დასაჯონ, ბორკილები დაადვან თუ გადასახლონ. დილიდან სალამომდის არჩევდნენ ამ საკითხებს. ყველანი თითქმის ერთ ხმად გაპყვიროდნენ სიკვდილით დასჯას, მაგრამ ხელმძღვანელებს სამართლიანი წესი კითხვის გადასაჭრელად ვერ ამოერჩიათ. ბოლოს გადასწყვიტეს შემდეგნაირი კენჭის ყრით გადაეწყვიტათ ეს საკითხი. ხალხი შედიოდა ცალკე ოთახში თითო-თითოდ და ნიშანს სვამდა მოკვლის, დაბორკვის, თუ გადასახლების თუ რისიკ მომხრე იყო. ამ გვარად გადაწყდა გრიგოლ ყიფიანის სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა-გადაწყვეტილი გრიგოლი ყიფიანი გამოიყვანეს შეკრული ეზოში და დაპხვრიტეს. სასამართლომ ვასილ ტყეშელაშვილი, მეთოდე და თედორე ლუხუტაშვილები და მათე ბათხაძე გაამართლა, ხოლო დანარჩენ რვა კაცს სამი წლით გამასწორებელ პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა გადაუწყვიტა

ნიკო ბერი.

—10 თებერვალს დ. ლანჩხუტში შორაპნის მაზრის ადმინისტრაციამ შეიპყრო ცინცაძე, ძმა ექიმ ტრიანდაფილიდისის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის ჩამოღობილის, რომელსაც ბრალს სდებენ ალექსანდრე დადიშკელიანის მოკვლაში. როგორც დანამდილებით გავიგეთ, ცინცაძე უკვე გამომტყდარა და თავისი ამხანაგები, ე. ი. მკვლელობაში თანამონაწილენი დაუსახელებიათ, რომლებთანაც ზოგნი უკვე შეიპყრეს ხოლო დანარჩენების შესაპყრობად ზომებია მიღებული. როგორც გადმოგვცეს ამ მოკლე დროში ბევრი მეტად საინტერესო ცნობები გამოაშკარადება ამ საზიზღარ მკვლელობის შესახებ. 11 თებერვალს, შეპყრობილი ცინცაძე აჩვენეს იმ ქალიშვილს, რომელიც დადიშკელიანს თან ახლდა მოკვლის დროს

და რომელიც ამბობდა, რომ სადმე რომ შეეხვებოდნენ ალექსანდრეს მკვლელს უეჭველად ვიცნობო. რა სთქვა ამ მოწმემ ჯერ არ ვიცით. ხოლო იმ ნიშნებით, როგორც ასწერა ამ მოწმემ მკვლელი, ეს ცინცაძე სწორედ ნამდვილი მკვლელია დადიშკელიანისა.

6. ბ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მუხლიანი.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

ვაგრალებ
სამკვლელო და საღიაკნო
საბნეუში,
აგრეთვე სამასწავლებლო
ეგზემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკაფის ქუჩა, № 17

◆◆ **სტამბა** ◆◆
იმერეთის წმ. გიორგის სარწ.-განმანათ.
„მეობის“
ქ. ქუთაისში, თაბისის ქუჩაზე, ს. კარიშხვის
სახლში, გუბერნატ. კანტელიარის ქვეშ,
ღებულას უფულგვარ სასტამბო საქმეებს
— სულ-მისაწღთმ ფასებში —
ასრულებს სუფთად და თავის დროზე.

6-й годъ издат. дѣятелн. 6-й

„НОВАЯ НИВА“

Единственн. общедост. журналъ.
ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1910** г.
ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЬ:

52 ж у р н а л а	52 книги	52 приложенія
-------------------------	-----------------	----------------------

а именно:

12 книгъ: „НОВОСТИ ЛИТЕРАТУРЫ“.

12 книгъ книгъ полного собранія сочиненій
ИВАНЪ СЕРГѢЕВИЧЪ
Тургенева. **12**

12 книгъ: „ИЗБРАННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ“
Некрасова, Надсона, Пушкина, Лермонтова, гр. Л. Толстого, гр. Ал. Голстого.

12 книгъ: „ВСЕМИРНАЯ БИБЛИОТЕКА“.

4 книги. САМОУЧИТЕЛИ: Нѣмецкаго и французск. языка. Самоучитель борьбы, и фехтованія, Самоучитель танцевъ и музыки.

52 фотогравюры Роскошный альбомъ въ золотомъ переплетѣ, послѣдней парижской выставки „САЛОНЪ“ исполненный по специальному заказу Редакціи въ Лейпцигѣ.

Календарь на 1910 годъ исполненный въ краскахъ.

Подписная цѣна на журналъ **5** Р. съ доставкой и пересылкой во всѣ города **6** Р. за границу **9** Р. со всѣми приложеніями

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА.

Подписка принимается въ редакціи „НОВАЯ НИВА“ СПБ., Невскій, 76.
Издатель редакторъ Н. А. Куриловъ.

(3—1)

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришева